ეკონომიკური რეფორმები და ორგანიზაციების მართვის ევოლუცია

ციალა ლომაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი, კსუ-ს პროფესორი
ელ-ფოსტა: lomaia55@mail.ru
ეკა დარჩიაშვილი
სტუ, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, III საფეხური, III სემესტრი
ელ-ფოსტა: eka_eka@inbox.ru

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩატარებული რეფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა ბიზნეს გარემოს გასაჯანსაღებლად. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს ბიზნესსექტორის მართვაზე. მკვეთრად შემცირდა, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. მართალია არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მრავალწლიანი უცხოური გამოცდილება და ამასთანავე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მეთოდოლოგიურ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ საქართველოს, მაგრამ რეფორმის გზაზე არაერთმა დაშვებულმა შეცდომამ შეაფერხა ორგანიზაციული განვითარება ბიზნესის სფეროში, რაც მიზანმიმართულ და რიტმულ მუშაობას საჭიროებს.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის რთულ გზას, რამაც მოითხოვა სრულიად ახალ სისტემაზე გადასვლა, რომლის დროსაც ინგრევა ძველი ინსტიტუციები და შენდება ახალი. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები დაკავშირებულია ორგანიზაციების გარდაქმნასთან, ზოგიერთის საერთოდ გაუქმებასთან და ა.შ. ორგანიზაციებს საქმიანობა უწევთ სრულიად ახალ პირობებში. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში თუ მათ სახელმწიფო მფარველობდა, ახლა უწევთ მძაფრი კონკურენციის გადალახვა.

ცნობილია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მზადება წინასწარ დაიწყო. თუმცა იგი მხოლოდ ზოგად მეცნიერულ მოსაზრებებს ვერ გასცდა. ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლამ ეკონომიკა ვერ შეამზადა ახალი კავშირების დასამყარებლად, რასაც დიდი დრო დასჭირდა. ეს კავშირები დღესაც კი საკმაოდ სუსტია ქართული ბიზნეს სექტორის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონის გამო.

საქართველოში ორგანიზაციები ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეფორმებისათვის მზად არ აღმოჩნდა, რამაც გაართულა ორგანიზაციების ევოლუციური განვითარება. მაგრამ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მრავალწლიანი უცხოური გამოცდილება და ამასთანავე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მეთოდოლოგიურ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ საქართველოს. რეფორმის გზაზე არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც შეაფერხა ორგანიზაციული განვითარება ბიზნესის სფეროში. ამას დაემატა ძლიერი კონკურენცია, რაც გამოიწვია გლობალიზაციის პირობებმა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს ბიზნეს სექტორის მართვაზე. მკვეთრად შემცირდა, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მმართველობით ტრანსფორმაციებში გამოვყოფთ ბიზნესის წნეხისგან შედარებით განთავისუფლებას, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, კერძო საკუთრების უფლებების დაცვის მცდელობას, მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევას და ა.შ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარ გამოწვევად მოსახლეობის უმუშევრობის პრობლემა მიგვაჩნია. ამას დაემატა ეროვნული ვალუტის გაუფასურება და სხვა მიზეზები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება, მიგრაციის კანონის გამკაცრება, მონეტარული პოლიტიკა, ბიუჯეტის არასწორი ხარჯვა, ექსპორტის შემცირება იმპორტის ზრდის ხარჯზე და სხვა ფაქტორები. ვერა და ვერ მივაღწიეთ ბიზნეს ორგანიზაციებისათვის გრძელვადიანი განვითარების პირობების შექმნას, რაშიც მთავარ როლს მივაკუთვნებთ ბიზნესის სტაბილურ განვითარებას, დემოკრატიის გაღრმავებას, თავისუფალ ვაჭრობას, სიღარიბის შემცირებას და სხვა. ამ პრობლემების გადაჭრის პრიორიტეტად წარმოგვიდგენია ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია, რომლის გამოყენება დამოკიდებულია

ყველაზე, ვინც ბიზნესის სფეროში მოღვაწეობს და მითუმეტეს სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის პოზიტივი, რომელსაც იძლევა ევროპის ბაზარზე გასვლის შანსი, ქართული პროდუქციის გატანისა და დასავლური საქონლის ქართულ ბაზარზე შემოსვლის სფეროებში. მან ხელი უნდა შეუწყოს როგორც უვიზო მიმოსვლას ევროპის ქვეყნებში, ისე ევროპული ფასეულობების დანერგვას, გამჭვირვალე და სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებას, მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახალი ორგანიზაციების და საექსპორტო პროდუქციის შექმნას, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას.

მარტო ის რად ღირს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ჩვენი ქვეყნიდან გასული ყველა პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე იმპორტის საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება. ქართული ორგანიზაციების წინაშე დღის წესრიგში დგას ევროკავშირის სტანდარტების დაცვა. უდავოა, რომ ჩვენთან დამზადებული კვების პროდუქტები უსაფრთხო უნდა იყოს. ასოცირების ხელშეკრულებაში ხომ მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა და გულისხმობს უვნებელი საქონლის გატანას. ბიზნეს ორგანიზაციებს მოუწევთ ამ ტვირთის აწევა, რადგან ასეთი რეგულაცია დამატებით ხარჯებს გულისხმობს, მაგრამ საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართული ეკონომიკის მოქმედების არეალის გაფართოებას უზრუნველყოფს, მოიმატებს ქვეყნის შემოსავლები, გაიზრდება ეკონომიკური უსაფრთხოების ფონი, შემცირდება სოციალური უთანასწორობა. ბიზნესის სფეროს განვითარება თავისთავად გამოიწვევს ცხოვრების მაღალ დონეს, სტაბილურობას, უკეთეს განათლებასა და ჯანმრთელობას და ა.შ. მთავარია გვახსოვდეს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ზედმეტი მოლოდინიც არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან ეს არ ნიშნავს საქართველოში ბიზნესის მალე აყვავებას. მას გარკვეული დრო სჭირდება. ევროპული რეგულაციები და სტანდარტები ეტაპობრივად დაინერგება და შოკური თერაპია გამორიცხული იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ხელშეკრულება შიდა ბაზარს უხარისხო იმპორტისგანაც დაიცავს. ასოცირების ხელშეკრულება თავისით ვერ მოგვიტანს სარგებელს, ჩვენზეა დამოკიდებული იმ რეგულაციების მონდომებით შესრულება, რაც ხელშეკრულებაშია ჩადებული. რაც უფრო მალე მოვახერხებთ ჩვენი კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანას, მით მეტ სარგებელს მივიღებთ, თანაც დროულად. ხელშეკრულება იძლევა საშუალებას პერსპექტივაში დამკვიდრდე ევროპის ბაზარზე მკაცრად რეგლამენტირებული, უკვე განსაზღვრული ნორმებით. ევროკავშირმა ამ ხელშეკრულებით ჩვენს ქვეყანას დაუწესა თამაშის წესები. ჩვენი ამოცანაა ეს წესები ჩვენი ქვეყნის ბიზნესის სფეროს განვითარებისათვის გამოვიყენოთ, რისთვისაც აუცილებელია მსოფლიო სტანდარტების დონის კონკურენტული პროდუქციის წარმოება. ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია გამოვყოთ შემდეგი პრობლემები: 1.კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; 2. ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი განვითარება ბიზნესის სფეროსთვის; 3. ფინანსური რესურსების შეზღუდულობა.

ბიზნესორგანიზაციების განვითარების აუცილებლობა განპირობებულია სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების სურვილით. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა სიღარიბის დაძლევა, რაც დასტურდება ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრებით, რისი დაძლევის ერთადერთი საშუალება ბიზნესორგანიზაციების თანმიმდევრული განვითარებაა, რისთვ ისაც აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- დასაქმებულთა ზრდა, თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონის გადიდებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება;
- მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტივობა ბიზნესის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით;
- მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის გაუმჯობესება, მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ორგანიზაცია მაღალ დონეზე;
- მოსახლეობის უმრავლესობის დასაქმება პროფესიის და კვალიფიკაციის შესაბამისად ბიზნეს-კომპანიებში, რის გამოც შემცირდება დისბალანსი მომუშავეთა სამუშაო თანრიგსა და კვალიფიკაციას შორის;
- შრომის ანაზრაურების ორგანიზაციის პრობლემების აღმოფხვრა, ხელფასის კვლავ წარმოებითი და სტიმულირების ფუნქციების გაუმჯობესება;
- შრომითი მიგრაციის შემცირება ადგილობრივ ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების შექმნით;
- ბიზნესორგანიზაციების მართვის სრულყოფით ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევა და შენარჩუნება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დადებ-

ით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ გავლენაზე სტაბილურობის შენარჩუნებაზე, რაც აისახება ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელი იქნება თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო გარემოსა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირების გარეშე. სისტემაში წამყვანი ადგილი ნორმალურად ფუნქციონირებად შრომის ბაზარს უნდა მიეკუთვნოს და იგი გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შრომისუნარიანი მოსახლეობის, ეფექტიანი დასახლების, ხელშეწყობის, შრომითი ცხოვრების ხარისხის და საბოლოო ანგარიშით ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. კატუკია ვ. ინსტიტუციურ-მმართველობითი გავლენა ბიზნესზე. შრომების კრებული. ახალციხე, 2015.

2. ლომაია ც., კატუკია ვ., დარჩიაშვილი ე. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში და მმართველობის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ასპექტები. მედიცინისა და თანამედროვე პრობლემები №2, თბ.,2015.

3.კაკულია რ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება და ქვეყნის მომავალი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 12, თბ., 2015.

4.Baird, Brian. 2005. Press Relkease. „Congressman Baird Eases Small Business Health Care Birden." Juli 26, house.gov/listpress/wa03_Baird.

ECONOMIC REFORMS AND EVOLUTION MANAGEMENTS OF THE ORGANIZATIONS

TSIALA LOMAIA

Doctor of Economics, GTU associate professor, professor of CIU

E-mail: lomaia55@mail.ru

EKA DARCHIASHVILI

GTU, Business Administration Program, III step, III semester

E-mail: eka_eka@inbox.ru

Summary

Market economy reforms are not enough to improve the business environment. The world economic crisis has a negative impact on the business management of Georgia. Decreased dramatically as the population, as well as the state budget revenues. Although, there were many years of foreign experience in market economy functioning and the international organizations that were providing methodological and material assistance to Georgia, but to reform the way the error has been hindered by organizational development of business ventures, whaat needs to debilerante and rhythmic work.

ЭКОНОМИЧЕСКИЕ РЕФОРМЫ И ЭВОЛЮЦИЯ УПРАВЛЕНИЯ ОРГАНИЗАЦИЯМИ

ЦИАЛА ЛОМАИА, Доктор экономических наук,

ГТУ-ассоц.профессор, КМУ-профессор

ЭКА ДАРЧИАШВИЛИ

ГТУ, Программа бизнес-администрирования, III ступ., III семестр

Эл.почта: eka_eka@inbox.ru

Резюме

Проведенные реформы, при условий риночной экономики, не оказались достаточными для улучшения бизнес-среды. Всемирный экономический кризисс, негативно повлиял на управление бизнессектора. Резко снизились доходы населения, также поступления в государственный бюджет. В действительности существовали зарубежные многолетние опыты в области функционирования рыночной экономики и к тому же международные организации, которые методологически и материально поддерживали Грузию, но неодинарно допущенные ошибки на пути реформы, притормозили организационное развитие в области бизнеса, что требует целеустремленность и ритмичность в работе.